ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 26 სექტემბერს.

დირექტორი:

/ირაკლი მერკვილიშვილი/

მთავარი ბუღალტერი:

/მარინე მერებაშვილი/

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნები	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3	1144606	543827
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	621917	293448
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	5	5058857	424042
მარაგები	6	3070252	1995560
მზა პროდუქცია	6	3070252	1995560
სხვა		0	0
საინვესტიციო ქონება		0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	7	23575	11233
ბიოლოგიური აქტივები		0	0
თვითღირებულების მოდელით		0	0
გადაფასების მოდელით		0	0
გუდვილი		0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	8	6544	5952
ძირითადი საშუალებები	9	1542877	1247806
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	0
სულ აქტივები		11468628	4521868
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება		0	0
სავაჭრო ვალდებულებები		319985	58784
ანარიცხები		0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		0	0
საგადასახადო ვალდებულებები		15135	15889
გამოწმებული შემოსავალი	12	5273161	160237
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	10	700000	492924
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	11	196579	309301
მიღებული გრანტები		0	0
სხვა ვალდებულებები		3651	1967
სულ ვალდებულებები		6508511	1039102
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	13	5020	5020
საემისიო შემოსავალი		0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		4955097	3477746
გადაფასების რეზერვი		0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0
სულ საკუთარი კაპიტალი		4960117	3482766
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		11468628	4521868
სულ მოკლევადიანი აქტივები		9919207	3268110
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		6311932	729801

დირექტორი:

/ირაკლი მერკვილიშვილი/

მთავარი ბუღალტერი:

/მარინე მერებაშვილი/

მოგება-ზარალის, სხვა სრული შემოსავლის და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საქმიანობის შედეგები			
საქმიანობის შედეგები	შენიშვნები	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	14	14439202	10883055
საქონლის გაყიდვიდან	14	14355736	10851231
მომსახურების გაწვიდან	14	83466	31824
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		0	0
სხვა		0	0
გაყიდვების თვითღირებულება	15	-11312256	-8393498
საწყისი მარაგები		0	0
მარაგების შესყიდვა		0	0
გადამუშავების დანახარჯები		0	0
საბოლოო მარაგები		0	0
საერთო მოგება		3126946	2489557
სხვა საოპერაციო შემოსავალი		0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება		-585645	-391778
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-62708	-54283
საპროცენტო შემოსავალი		0	0
საპროცენტო ხარჯი		-51057	-46353
იჯარის ხარჯი	16	-3828	-2982
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	17	-995797	-806299
სულ საოპერაციო ხარჯები		-1699035	-1301695
საოპერაციო მოგება		1427911	1187862
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		24600	-67176
მიღებული დივიდენდები		0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	18	29430	21381
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯმდე განგრძობითი ოპერაციებიდან		1481941	1142067
მოგების გადასახადის ხარჯი	19	-4590	-4037
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		1477351	1138030
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების ურავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		1477351	1138030
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		3482766	2344736
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები		0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		4960117	3482766

დირექტორი:

/ირაკლი მერკვილიშვილი/

მთავარი ბუღალტერი:

/მარინე მერებაშვილი/

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აგრო-კომ“ საიდენტიფიკაციო ნომრით 404886414 დარეგისტრირდა საქართველოში 2011 წლის 3 თებერვალს.

დაარსების დღიდან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის დამფუძნებელ პარტნიორთა შორის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად :

- ირაკლი მერკვილიშვილი (01025010589) 50%
- მამუკა მერებაშვილი (59001017773) 50%.

კომპანიის დამფუძნებლები ჩართულნი არიან კომპანიის მართვაში.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ვაჭრობა მინერალური სასუქებით და აგროქიმიური პროდუქტებით, ვაჭრობა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, მოწყობილობებით, დამხმარე საქმიანობის სახეები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის დარგში.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენს 33 კაცს (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 25 კაცი, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 25 კაცი).

კომპანიის დირექტორია ირაკლი მერკვილიშვილი (პ/ნ 01025010589).

კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონი, დიდი დილომი მესამე მიკრო, კორპუსი 3, ბინა N118.

შპს „აგრო-კომ“-ს არ გააჩნია ფილიალები. იგი წარმოდგენილია სამი სავაჭრო ობიექტით შემდეგ მისამართებზე :

- ქ.გორი, ცხინვალის გზატ.#8 , სადაც ასევე განთავსებულია სათაო ოფისი.
- გორი, სოფ. კარალეთი
- ქარელი, სოფ. საღოლაშენი

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ანგარიშების მომზადების საფუძველი

შპს „აგრო-კომ“-ის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) პირველადი გამოყენების მოთხოვნების გათვალისწინებით ნაწილი 35 “მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლა“. სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების თანახმად, ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭიროა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება.

კომპანიის მიერ გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პრინციპები და პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის, სხვა სრული შემოსავლის და კაპიტალის მოძრაობის, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

საქართველოს ეროვნული ბანკის

ოფიციალური გაცვლითი კურსი

	აშშ დოლ.	ევრო
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,0976	3,5040
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,2766	4,0233

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და საბანკო ნაშთებს.

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში საქონლის/მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ მყიდველებისაგან მისაღები თანხები. საქონლის კრედიტით გაყიდვის შემთხვევაში გადახდის ვადა და პირობები დგინდება ხელშეკრულებით კლიენტთან შეთანხმების საფუძველზე, ვადაგადაცილების შემთხვევაში კომპანია მიმართავს კლიენტს გაფრთხილებით რამდენჯერმე, რისი უფულებელყოფის შემდგომ კომპანია უფლებას იტოვებს იმოქმედოს საქართველოში მოქმედი კანონის შესაბამისად.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება - საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, განბაჟებასა და ტრანსპორტირებასთან.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, შესაბამისი პროფესიონალების მომსახურების ხარჯებს.

საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღირიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის გამოკლებით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

შენობები	20-50 წელი
ნაგებობები	10-20 წელი
მანქანა-დანადგარები	7-10 წელი
სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და სხვა საშუალებები	5-10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	3-10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	3-10 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	5-10 წელი

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების ბალანსიდან მოხსნა ხდება მისი გასხვისების დროს ან შესაბამისი ჩამოწერის აქტების საფუძველზე, იმ შემთხვევაში, როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკან დაუბრუნებად გადასახადებს, აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს. არამატერიალური აქტივების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან იმ შემთხვევაში, როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით მისი სასარგებლო მომსახურების ვადის 10-წლიანი ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნა ხარჯის გაწევის შედეგად რომლის გადახდა არ მომხდარა პერიოდის განმავლობაში. კრედიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

მიღებული სესხები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში, იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

მოგების გადასახადი

საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დასაბეგრ ბაზას წარმოადგენს არა მოგების გადასახადი, არამედ გაცემული დივიდენდები და მასთან გათანაბრებული განაცემები, აგრეთვე გადახდები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო კოდექსით არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას.

კაპიტალი

კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით, რომელიც აღიარდება სამართლიანი ღირებულებით შეტანის მომენტისთვის.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდი ვალდებულებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც დამტკიცდება მათი განაწილება.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს მაშინ, როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი და მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება ყველა სავალს ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე.

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოიყენებოდა წინა საანგარიშგებო პერიოდებში.

3. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31 დეკ.2021	31 დეკ.2020
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	718 411	105 849
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	423 453	432 956
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	2 742	5 022
ჯამი	1 144 606	543 827

ფული და ფულის ექვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისათვის.

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკ. 2021	31 დეკ. 2020
სავაჭრო მოთხოვნები	616 118	287 013
საექვო მოთხოვნები	5 799	6 435
ჯამი	621 917	293 448

დებიტორული დავალიანებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისათვის.

სავაჭრო მოთხოვნები მოიცავს გამომუშავებულ მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებულ სავაჭრო მოთხოვნებს, რომელთა გამომუშავება მოხდა, როგორც საანგარიშგებო პერიოდის, ასევე წინა პერიოდების განმავლობაში, თუმცა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ანაზღაურება ჯერ არ მიუღია.

5. სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები

	31 დეკ. 2021	31 დეკ. 2020
ავანსები სასაქონლო მატერიალური მარაგების შესაძენად	4 353 895	404 176
მოთხოვნები ბიუჯეტის მიმართ	682 254	12 332
ავანსები გადახდილი მომწოდებლებზე	20 366	4 809
ავანსები მომსახურებაზე	1 339	1 522
სხვა მოთხოვნები	1 003	1 203
ჯამი	5 058 857	424 042

6. მარაგები

	31 დეკ. 2021	შეძენა 2021	31 დეკ. 2020
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3 070 252	12 444 076	1 995 560
ჯამი	3 070 252	12 444 076	1 995 560

სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს:

	31 დეკ. 2021	შეძენა 2021	31 დეკ. 2020
ტექნიკა	2 264 106	5 549 377	1 429 733
წვეთოვანი სისტემა	334 178	811 288	197 647
მცენარეთა დაცვა	229 631	3 295 559	189 500
სასუქები	105 682	2 011 741	103 681
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	136 655	776 111	74 999
ჯამი:	3 070 252	12 444 076	1 995 560

7. სხვა მოკლევადიანი აქტივები

	31 დეკ. 2021	შეძენა 2021	31 დეკ. 2020
საწვავი	20 549	78 500	9 970
სხვა	3 026	7 480	1 263
ჯამი	23 575	85 980	11 233

8. არამატერიალური აქტივები

საბალანსო ღირებულება	საბუღალტრო პროგრამები	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი	7 707	7 707
შეძენა	2 053	2 053
გაყიდვა	0	0
ჩამოწერა	0	0
2020 წლის 31 დეკემბერი	9 760	9 760
შეძენა	1 695	1 695
გაყიდვა	0	0
ჩამოწერა	0	0
2021 წლის 31 დეკემბერი	11 455	11 455
ცვეთა და ამორტიზაცია		
2019 წლის 31 დეკემბერი	2 911	2 911
ცვეთა წლის მანძილზე	897	897
ჩამოწერილი/გაყიდული აქტივის ცვეთა	0	0
2020 წლის 31 დეკემბერი	3 808	3 808
ცვეთა წლის მანძილზე	1 103	1 103
ჩამოწერილი/გაყიდული აქტივის ცვეთა	0	0
2021 წლის 31 დეკემბერი	4 911	4 911
წმინდა საბალანსო ღირებულება		
2019 წლის 31 დეკემბერი	4 796	4 796
2020 წლის 31 დეკემბერი	5 952	5 952
2021 წლის 31 დეკემბერი	6 544	6 544

კომპანია ფლობს შემდეგ საბუღალტრო პროგრამებს: “Fina”, “Oris Accounting”.

9. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	ნაგებობები	დაფთავრებული მშენებლობა 1	დაფთავრებული მშენებლობა 2	მანქანა- დანადგარე ბი	სასოფლო- სამეურნეო ტექნიკა და სხვა საშუალებები	ოფისის აღჭურვილ ობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
საბალანსო ღირებულება												
2019 წლის 31 დეკემბერი	288680	133570	3000	382289	1315	12403	20866	81562	48566	237926	11864	1222041
შემენა	0	0	0	58615	140849	373	0	28550	9914	16560	0	254861
გაყიდვა	0	0	0	0	0	0	0	568	529	0	0	1097
ჩამოწერა	0	0	0	0	0	0	0	6256	976	0	0	7232
გადატანილია საქონელში	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
გადატანილია საქონლიდან მ/ს-ში	0	0	0	0	0	0	0	0	442	0	0	442
2020 წლის 31 დეკემბერი	288680	133570	3000	440904	142164	12776	20866	103288	57417	254486	11864	1469015
შემენა	0	27454	0	160812	20981	0	0	25264	26878	127128	0	388517
გაყიდვა	0	0	0	0	0	0	0	0	373	59946	0	60319
ჩამოწერა	0	0	0	0	0	6926	3073	23334	5391	0	0	38724
გადატანილია საქონელში	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
გადატანილია საქონლიდან მ/ს-ში	0	0	0	75	0	0	0	0	7864	0	0	7939
2021 წლის 31 დეკემბერი	288680	161024	3000	601791	163145	5850	17793	105218	86395	321668	11864	1766428
ცვეთა												
2019 წლის 31 დეკემბერი	0	30295	600	0	0	8914	9734	46108	27033	45841	6804	175329
ცვეთა წლის მანძილზე	0	4179	300	0	0	798	2917	13539	7833	22654	1166	53386
ჩამოწერილი/გაყიდული აქტივის ცვეთა	0	0	0	0	0	0	0	6267	1239	0	0	7506
საქონელში გადატანილი აქტივის ცვეთა	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
2020 წლის 31 დეკემბერი	0	34474	900	0	0	9712	12651	53380	33627	68495	7970	221209
ცვეთა წლის მანძილზე	0	4906	300	0	0	461	2820	18300	10079	23573	1166	61605
ჩამოწერილი/გაყიდული აქტივის ცვეთა	0	0	0	0	0	5560	2938	20907	4748	25110	0	59263
საქონელში გადატანილი აქტივის ცვეთა	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
2021 წლის 31 დეკემბერი	0	39380	1200	0	0	4613	12533	50773	38958	66958	9136	223551
წმინდა საბალანსო ღირებულება												
2019 წლის 31 დეკემბერი	288680	103275	2400	382289	1315	3489	11132	35454	21533	192085	5060	1046712
2020 წლის 31 დეკემბერი	288680	99096	2100	440904	142164	3064	8215	49908	23790	185991	3894	1247806
2021 წლის 31 დეკემბერი	288680	121644	1800	601791	163145	1237	5260	54445	47437	254710	2728	1542877

10. მოკლევადიანი ნასესხები სახსრები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მოკლევადიანი სესხები	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირის გადახდის პერიოდულობა	პროცენტის გადახდის პერიოდულობა	ვალუტა	თანხა ლარში	მიზნობრიობა
ხელშეკრულება N76.8087	20.10.2021	20.10.2022	12%	განაღების თარიღში	განაღების თარიღში	ლარი	700 000	საბრუნავი საშუალებები
სულ მოკლევადიანი სესხები							700 000	

11. გრძელვადიანი ნასესხები
სახსრები

გრძელვადიანი სესხები	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირის გადახდის პერიოდულობა	პროცენტის გადახდის პერიოდულობა	ვალუტა	თანხა ლარში	
ხელშეკრულება N76.4026	21.08.2017	21.08.2024	6.30%	ყოველთვიური	ყოველთვიური	აშშ დოლარი	137 386	კომერციული ფართის, საწყობის მშენებლობა. მიწის შეძენა, კომერციული ფართის მშენებლობა.
ხელშეკრულება N14.11425	05.12.2013	05.01.2023	6.30%	ყოველთვიური	ყოველთვიური	აშშ დოლარი	59 193	
სულ გრძელვადიანი სესხები							196 579	

სესხის ხელშეკრულება #76.8087, რომელიც გაფორმებულია კომპანიასა და სს პროგრედიტ ბანკს შორის 2021 წლის 20 ოქტომბერს წარმოადგენს სესხს, რომელიც ძალაშია 2022 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით. 2021 წლის 20 ოქტომბრისთვის ვალდებულება შეადგენდა 700 000 ლარს.

სესხის ძირის და პროცენტის დაფარვა მოხდება ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე 2022 წლის 20 ოქტომბერს.

სესხის ხელშეკრულება #76.4026, რომელიც გაფორმებულია კომპანიასა და სს პროგრედიტ ბანკს შორის 2017 წლის 21 აგვისტოს, წარმოადგენს სესხს, რომელიც ძალაშია 2024 წლის 21 აგვისტოს ჩათვლით. 2021 წლის 31 დეკემბრისთვის ვალდებულება შეადგენდა 14 531 აშშ დოლარს. 2021 წელს სესხზე დარიცხული პროცენტი შეადგენდა 12 360 ლარს (3 832 აშშ დოლარი), რომელიც დაიფარა ამავე პერიოდში. სესხის ძირის და პროცენტის თანხის გადახდა უნდა მოხდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრაფიკის შესაბამისად.

სესხის ხელშეკრულებაში #14.11425, რომელიც გაფორმებულია კომპანიასა და სს პროგრედიტ ბანკს შორის 2013 წლის 05 დეკემბერს, წარმოადგენს სესხს, რომელიც ძალაშია 2023 წლის 05 იანვრის ჩათვლით. 2021 წლის 31 დეკემბრისთვის ვალდებულება შეადგენდა 16 404 აშშ დოლარს. 2021 წელს სესხზე დარიცხული პროცენტი შეადგენდა 6 496 ლარს (2005 აშშ დოლარი), რომელიც დაიფარა ამავე პერიოდში. სესხის ძირის და პროცენტის თანხის გადახდა უნდა მოხდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრაფიკის შესაბამისად.

12. გამოუმუშავებელი შემოსავალი

გამოუმუშავებელ შემოსავალში შედის მიღებული ავანსები.

13. კაპიტალი

კომპანიის მფლობელებს შორის კაპიტალი გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- ირაკლი მერკვილიშვილი - 50%
- მამუკა მერებაშვილი - 50 %

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მფლობელთა კაპიტალი შეადგენს 5 020 ლარს;

კომპანიის დამფუძნებელთა მიერ კაპიტალში პირველადი შეტანა განხორციელდა 2011 წლის 07 თებერვალს. კაპიტალში შეტანილ იქნა 5 020 ლარი.

14. ნეტო ამონაგები

	31 დეკ. 2021	31 დეკ. 2020
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	14 355 736	10 851 231
ამონაგები მომსახურებიდან	83 466	31 824
სულ ნეტო ამონაგები	14 439 202	10 883 055

ამონაგები საქონლის გაყიდვიდან მოიცავს:

ტექნიკა	6 155 460
მცენარეთა დაცვა	4 032 987
სასუქები	2 456 417
წვეთოვანი სისტემა	940 041
სხვა	770 831
სულ ჯამი	14 355 736

15. გაყიდვების თვითღირებულება

რეალიზებული სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულებაა 11 312 256.

16. იჯარის ხარჯი

	31 დეკ. 2021	31 დეკ. 2020
საწყობის იჯარა	800	342
სხვა იჯარა	3 028	2 640
ჯამი	3 828	2 982

სხვა იჯარაში შესულია გორის მუნიციპალიტეტისგან იჯარით აღებული მიწის ფართი სოფელ კარალეთში, საკადასტრო კოდი 66.46.21.059 (2 640 ლარი), რეკრეაციული ზოლის მოსაწყობად.

17. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	31 დეკ. 2021	31 დეკ. 2020
ადმინისტრაციის ხელფასი	289 601	233 860
პრემია	151 638	229 635
მომსახურებაზე გაწეული ხარჯი	96 638	65 662
საწვავის ხარჯი	67 921	41 359
ბანკის საკომისიო	63 016	55 204
საგადასახადო ხარჯი	30 191	36 877
სატრანსპორტო ხარჯი	20 566	24 019
მივლინება	4 624	765
წარმომადგენლობითი ხარჯი	9 346	7 131
ქონების გადასახადი	12 570	10 089
კომუნალური ხარჯი	15 215	7 903
საკომუნიკაციო	7 302	5 989
რეკლამის ხარჯი	3 239	3 193
საკანცელარიო ხარჯი	1 977	1 019
დაცვა	1 383	1 383
დაზღვევა	1 926	250
საპენსიო	17 747	14 134
სხვა საერთო ხარჯი	200 897	67 827
სულ ადმინისტრაციული	995 797	806 299
და სხვა საოპერაციო ხარჯი		

18. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

	31 დეკ.2021	31 დეკ. 2020
არასაოპერაციო შემოსავლები		
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	35 617	343
შემოსავალი იჯარიდან	517	127
სხვა	33 513	22 235
ჯამი	69 647	22 705
არასაოპერაციო ხარჯები		
რეალიზებული ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	(34 908)	(279)
სხვა ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	(4 870)	(545)
სხვა ხარჯი	(439)	(500)
ჯამი	(40 217)	(1 324)
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი	29 430	21 381

19. მოგების გადასახადი

გადახდილია მოგების გადასახადი 4 590 ლარი (2020 წ - 4 037 ლარი, 2019 წ - 504 ლარი). მოგების გადასახადით დაბეგრულია გადახდები, რომლებიც საგადასახადო კოდექსით არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას.

20. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 14 მარტს კომპანიამ საბრუნავი საშუალებებისთვის სს პროკრედიტ ბანკისგან აიღო სესხი - საკრედიტო ხაზი #76.8449 (საკრედიტო ხაზის ლიმიტი 786 000 (შვიდას ოთხმოცდაექვსი ათასი) ლარი), რომელიც ძალაშია 2023 წლის 14 მარტის ჩათვლით. 2022 წლის 26 სექტემბრის მდგომარეობით, აღნიშნული საკრედიტო ხაზიდან ათვისებულია 377 837 (სამას სამოცდაჩვიდმეტი ათას რვაას ოცდაჩვიდმეტი) ლარი.

ბიზნეს გარემოსა და რისკების მიმოხილვა

კომპანიის წინაშე არსებულ მნიშვნელოვან რისკებს მიეკუთვნება ეროვნული ვალუტის რყევებით გამოწვეული სავალუტო რისკები, მითუმეტეს, როდესაც სესხები აღებულია უცხოურ ვალუტაში და მარაგების უდიდესი ნაწილი არის იმპორტირებული და მომწოდებლებთან ანგარიშსწორება გვიწევს უცხოურ ვალუტაში. აღნიშნული რისკის შესამცირებლად, საქონლის კრედიტში გაყიდვის შემთხვევაში, კლიენტებთან ხელშეკრულება უმეტესად იდება ვალუტაში და, შესაბამისად, ანგარიშსწორება ხდება ვალუტის შესაბამისი ექვივალენტით ლარში.

ასევე მნიშვნელოვანი რისკია დებიტორული დავალიანების ამოუღებლობის რისკი. აღნიშნული რისკის შესამცირებლად მუდმივად მიმდინარეობს მონიტორინგი და პრევენცია სხვადასხვა საშუალებებით. კომპანიას საქმიანობა უწევს საკმაოდ მაღალი კონკურენციის პირობებში, შესაბამისად, არსებობს საბაზრო რისკიც. აღნიშნულის პრევენციისთვის კომპანია მუდმივად ზრუნავს შეინარჩუნოს მაღალი ხარისხი და იყოს ორიენტირებული მომხმარებლის კმაყოფილებაზე.

დადებითი გარემო ფაქტორები

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სოფლის განვითარების სააგენტო ახორციელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტებს: დანერგე მომავალი, შეღავათიანი აგროკრედიტი, აგროდაზღვევა, სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა, მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა, აწარმოე საქართველოში და სხვა (პროექტების სრულად ნახვა შესაძლებელია მისამართზე <http://www.rda.gov.ge>). აღნიშნული პროექტები ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას სხვადასხვა მიმართულებებით, რომელიც დადებითად აისახება ამ სფეროში ბაზრის ზრდაზე.

დირექტორი:

/ირაკლი მერკვილიშვილი/

მთავარი ბუღალტერი:

/მარინე მერებაშვილი/